წლიწადი მეშვიდე.

საქართველო უწინარეს ყოვლისა

თეთრი გიორგი

პარიზი
მაისი 1932 წელი
№ 52

ქართველ პატრიოტთა ორგანო
Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens «THETHRI GUIORGUI»
Rédaction : THETHRI GUIORGUI, 11, Porte Champerret, Paris XVII
რედაქტორი მ. წერეთელი. Le Directeur : M. TSERETHELI

Paris
MAI 1932
No 52

✝

1857-1932

ვერაგულად მოჰკლეს საფრანგეთის

პრეზიდენტი

პ. დუმერი

პოლ დუმერი საფრანგეთში ეკუთვნოდა იმ მამულიშვილთა წყებას, რომელთაც მთელი თავიანთი სიცოცხლე შეალიეს სამშობლოს სამსახურს. მან ოთხი შვილი შესწირა საფრანგეთს. მადლიერმა ერმა ეს დაუფასა და ქვეყნის თავად ამოირჩია.

მაგრამ რუსი მტარვალის ხელით ის განგმირულ იქმნა.

ჩვენ დიდს მწუხარებას გამოვსთქვამთ, რომ საფრანგეთის ერის ხელმძღვანელი ასე უდიერად იქმნა მოკლული, რომ ის შეიქმნა უდანაშაულ მსხვერპლი მტარვალობისა.

---

26 მაისი.

ჩადგა მსოფლიო ომის ქარიშხალი. ძლევამოსილთა ლაშქრები აიშალენ სანგრებითგან და საკუთარ კერას მიაშურეს.

დაინგრა დიდი რუსეთი...მოისპო ველურთა ბატონობა მრავალ წვრილ კულტუროსან ერებზე. საუკუნით მეოცნებეთ და მებრძოლთ დამოუკიდებლობისათვის, მიაღწიეს თავიანთ წმიდა იდეალს, დამოუკიდებლობას, ეროვნულ სახელმწიფოებრიობის აღდგენას.

ასეთი იყო გარეშე ფაქტორი, ასე უცინოდა ბედი მომავალ დამოუკიდებელ საქართველოს. თუმცა გონიერი თვალი ადამიანისა, მაინც შენიშნავდა, რომ საქართველოს ციდან, ახლად მოვლენილი ბედის ვარსკვლავი ისევ სწყდებოდა... გერმანიის დამარცხება და მათი ჯარების წასვლა საქართველოთგან, როგორც კავკასიის ყველა ერებისათვის, ისე საქართველოსთვის იყო პირველი ნიშანი, მაუწყებელი იმის, რომ თქვენ, მართალია, აღადგინეთ დამოუკიდებლობა, მაგრამ ეს მიიღეთ თქვენ დეპეშით, მიქროლავს ის ქარი, რომლის ტალღებმაც მოგიტანათ და უფრთხილდით თან არ წაიღოს... მაგრამ ჩვენდა სავალალოდ ეს ნიშანი ვერავინ დაინახა, ეს ხმა ვერავინ მოისმინა და განიბნა ის ჰაერში ვით ყივილი ნაადრევი მამლისა.

საქართველოს თავზე მისი მწარე ხვედრი ისევ აღსრულდა...მან მალე დაჰკარგა თავისუფლება.

მას შემდეგ სრულდება მეთორმეტე წელი და მთელი ერი რაღაც გამოურკვეველი ექსტაზით, გულ-ხელდაკრეფილი შესცქერის 26 მაისს, დღეს, ერის დიდების პირველი გაელვებისა; უმზერს ვით დაკარგულ სატრფოს ისტორიის ბურანში შეხვეულს. ყოველი სიტყვა წარმოთქმული, ყოველი სტრიქონი დაწერილი 26 მაისის გამო, ამ თერთმეტი წლის განმავლობაში ატარებს ამ აზრს და დღევანდელი მორიგე თაობის წინაშე ისედაც ამ ბნელ და შემზარავ ხანას ჩვენი ისტორიისა, უფრო ართულებს.

ახლოვდება 26 მაისი. ახალგაზრდას მისდამი რაღაც გაუგებარი განცდები ეუფლებიან, და გიკვირთ საიდან მოდიან ისინი, ჩვენმა თაობამ ხომ ხმლია აეხსნა ის მოვლენა, რაც უხილავი იყო 26 მაისის მედროშეთათვის. ჩვენ ხომ ვეზიარეთ ჭეშმარიტ აზრს, რომელსაც თვით სამშობლოს მსხვერპლი დასჭირდა?

ისინი არიან ანარეკლნი იმ უძლეველი ამოცანის, რომელიც ისტორიამ ჩვენს ძველ თაობას კარებზე მიუტანა და მან ის ვერ ახსნა, ვერ გაიგო და ასე გაუგებარი სახით გადასცა მომავალ თაობას.

და დღეს, ამ მრავალ ღრუბელთა გადაყრის შემდეგ, ჩვენი თაობისთვის სინამდვილისა და აზროვნების ცა უფრო მოწმენდილია, და იქ ყველაფერი ადვილად ამოსაკითხი.

როდესაც გაისმა პირველი ხმა საქართველოს განთავისუფლებისა, როდესაც შემოიჭრა პირველი მახარობელი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, როგორ დახვდა მას საქართველო და როგორ შეხვდა მას ქართველი ერი?!

ჩვენ შევეცდებით წარმოვადგინოთ მცირე სურათი ჩვენი იმდროინდელი საზოგადოების პოლიტიკური აზროვნებისა. სულიერი ვითარებისა და გუნებ-განწყობილებისა.

მთელი საუკუნით ეროვნულ სახელმწიფოებრიობას მოკლებული ერი შებყრობილია მონური ფსიქოლოგიით.

გამქრალია კულტი სახელმწიფოს, ენის, ეროვნული კულტურის.

გამქრალია სახელმწიფოს მართვა გამგეობის ტრადიციები, დამოუკიდებლად ცხოვრების ჩვევები და ადათები.

არ არსებობენ სახელმწიფოს მართვისთვის შესაფერი ადამიანნი. მიუხედავად მრავალ ქართველთა უსაზღვრო თეორიული მომზადების, პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმის დროს ყველა სუსტნი აღმოჩნდენ.

მიუხედავად ერის მთელი საუკუნეებრივი დუღილის, შინაგანი ღელვის, განუწყვეტელი ბრძოლებისა და სტიქიური აფეთქებების, განთავისუფლების კარიბჭეზე ის მაინც ვერ დახვდა მომზადებულ დარაჯად.

მთელი მოქმედი საზოგადოება დაყოფილია პარტიებად. ეროვნული ინტერესი გათელილია და პარტიული ამაღლებული. ბრძოლა და ქიშპობა ურთიერთ, დაუზოგველი მტრობა და ღალატი ურთიერთისა.

ყველაზე ძლიერი ორგანიზაციები ატარებენ კოსმოპოლიტურ იდეებს და ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას გულცივად ხვდებიან, ხოლო მაშინ კი, როდესაც «ობიექტური პირობები» კარებს უკაკუნებს, მესვეურნი ამ პარტიების კათეგორიულ უარს აცხადებენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე. ამბობენ, როდესაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში დასმულა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი, პარტიის ლიდერს ბ-ნ ჟორდანიას განუცხადებია:—მე წინააღმდეგი ვარ და გთხოვთ ოქმში შეიტანოთ! და ეს ადამიანი ელემენტარულ ზნეობრივ ზომიერებასაც ვერ დაიცავს და შემდეგ, დამოუკიდებელ საქართველოს პრეზიდენტის ტახტზე, ვით ღირსეული მემკვიდრე მდგომარეობისა, სიამოვნებით აბრძანდება!.. ასე ცინიკურ ამბავს ჩასწერს მომავალი მემატიანე ქართველის ცხოვრების ფურცლებზედ!..

რა ხდება საზოგადოების სხვა სფეროებში? რყევა, და გადაუწყვეტლობა. ხოლო ის ეროვნული ორგანიზაციები, რომელნიც იმ დროს ახლად აღმოცენდენ და დიდძალ ხალხსაც მოუყარეს თავი—იძლივნენ სამარცხვინოდ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ერი დიდ იმედებს ამყარებდა საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიაზე. მაგრამ მან ეს ვერ გაამართლა, რადგან ჯერ მან თავითგანვე სწორი ალღო ვერ აუღო მდგომარეობას და ვერ დადგა წმიდა ეროვნულ პოზიციაზე. მან იმ თავითვე განაცხადა თავი კლასიურ პარტიად, ხოლო კლასობრივ ბრძოლაში მენშევიკებთან ყველა პარტია დამარცხდებოდა. მეორედ, მასში თავიდანვე შეიქმნა მაჩანჩალის ფსიქოლოგია, 1) რაც გაგრძელდა მის სრულ დაშლამდე და განადგურებამდე, ხოლო მათ, საუკეთესო ახალგაზრდობას გამოაცალეს ყოველგვარი თვით მოქმედების ინიციატივა და დაღუპვის გზას დააყენა.

ასე ტრაგიკული იყო ბედი ჩვენი პოლიტიკური პარტიების. თვით ის ფაქტი, რომ ამ უზარ-მაზარი ბრძოლებისა და პოლიტიკური შეხლა-შემოხლის დროს მათ ერთი ახალგაზრდა ვერ წარმოშვეს, რომელიც დიდი პოლიტიკური იერუდიციით გამოვიდოდა და მედგრად გაარღვევდა მართლაც და იმ მოჯადოებულ რკალს, რომელშიდაც მოემწყვდა ჩვენი ძველი თაობა და შიგ მოიყოლა ნაწილი ახალგაზრდობისაც, არ არის ბრწყინვალე საბუთი იმისა, რომ მრავალი ახალგაზრდა მსხვერპლი შეიქმნა ძველთა ტრაგედიისა?:. 2)

არც დანარჩენ მოაზროვნე საზოგადოების შეგნება იყო სამშობლოს დიადი დასაწყისისთვის მომზადებული, არც მათთვის იყო ნათელი მომავლის სახე. მათშიც მოულოდნელობის აჩრდილებმა გააგნიეს სიბნელენი გაუგებრობისა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მეორე დღეს ერთი საკმაოდ ცნობილი პატრიოტი და დემოკრატი პოეტი სწერდა:

«ენა როგორ არ დადუმდეს,
თვალი როგორ არ გაგიქდეს,
მზეს დილითაც არ ელოდე
შუაღამით აგიზგიზდეს»-ო.

დიახ! ეს სტრიქონები სავსებით გამოხატავენ ჩვენი იმდროინდელი მოწინავე და პატრიოტულად განწყობილი საზოგადოების უმრავლესობის გუნება-განწყობილებას.

ასეთი იყო სავალალოდ საქართველოს მაშინდელი ვითარება და რასაკვირველია მარტო ობიექტური პირობები ვერ დაიცავდენ საქართველოს, ვერც ის მცირე გამონაკლისი ადამიანები, რომელნიც მაშინაც მოიპოვებოდენ და იყვნენ მხურვალე მებრძოლნი საქართველოს დამოუკიდებლობისა.

ჩვენ ძალიან ხშირად და სამართლიანადაც ვაკრიტიკებთ გაბატონებულ პარტიებსა, ვამცნობთ საზოგადოებას მათ უდიდეს დანაშაულს ერის წინაშე, მაგრამ მათ გარედ განა მოიპოვებოდა კი ხალხი ვინც წარუძღვებოდა ერს და ღირსეულად წარმართავდა მის საქმეს?

და აი ჩვენი დრო და ახალი თაობა, ამ მწარე ტკივილების შეგრძნობით იწყებს მორიგ გამოსვლას ეროვნული მოღვაწეობის, ბრძოლისა და შემოქმედების ასპარეზზე.

მას აგონდება ის ნაღვლიანი წარსული, როდესაც ახალგაზრდა პოეტის თქმით, «შავმა ნისლმა დანისლა
მთები დაღესტანისა
აღიმართენ კოშკები
ცისა და ნესტანისა».

და აი, სადღაც, ზღვის პირად, სად გადმოსჩქეფს ნაკადული, თვალცრემლიან ტარიელს შეეყრება ავთანდილი, მონახავენ ფრიდონს და ემზადებიან ნესტანის დახსნისათვის.

ჩვენს ამგვარ გულის ტკივილს იმედი გვაქვს ძველი თაობა საყვედურსა და ლანძღვაში არ ჩამოგვართმევს, ჩვენ ამ განზრახვას არ ვატარებთ, რადგან ის ჩვენს წყლულებს ვერ განკურნავს, ამით საქმეს არ ეშველება. ამით გვინდა მხოლოდ გამართლება ჩვენი შეურიგებლობისა და ბრძოლისა. ჩვენ ვასრულებთ ჩვენს ეროვნულ ისტორიულ მისიას, ჩვენ გვინდა ზნეობრივად და სულიერად განსპეტაკებული გრძნობებით წარვსდგეთ თანამედროვეობის წინაშე.

ჩვენ გვინდა, მიუხედავად ძველი თაობის მიერ აუტანელი მემკვიდრეობის დატოვებისა, მათი უკანასკნელი სიტყვა არ იყოს ჩვენდამი სავსე წყევლითა და კრულვით.

ჩვენ გვინდა მათგან კიდევ მოვისმინოთ წრფელი გულის კარნახით, მათი გამოცდილებანი.

ამით მათი მისიაც აღსრულებული იქნება და ჩვენც ზნეობრივი უფლება გვექნება, მრავალ ბრძოლებისა და გამარჯვების შემდეგ, ხვალ, როს დადგება წლები მიწყნარების, მივუძღვნათ ჩვენი მიუდგომელი შეფასება და დავლიოთ შესანდობარი.

არსებობის გარდაუვალი კანონია, ამას ვერავინ გაექცევა, მამა უნდა იმარხებოდეს შვილისაგან.

ყოველი ერის ნიადაგზე შექმნილ უარყოფით თუ დადებით მოვლენას, ენაცვლებიან ახალნი იდეანი, ახალ თაობათა წინამძღოლობით.

1924 წ-ს აჯანყების დამარცხებამ დაასო უკანასკნელი სამანი ძველი და ახალი ხანის შორის, ძველი და ახალი აზროვნების გაყრის, ძველი თაობის გადადგომის და ცხოვრების სცენაზე ახალი თაობის გამოჩენის, რომელიც მოდის ახალგაზრდული ხალისითა და გატაცებით, უდრეკი ჟინითა და ნებისყოფით.

ჩვენი თაობა, რომელიც მოდის ახალი სიტყვით, ახალი აზრით, ახალი იარაღითა და ახალი სულით, მოვალეობად იჩნევს ერისა და ისტორიის წინაშე, გამო თხოვოს უკანასკნელი გამოსალმება ძველი თაობისა.

ღირსეულ მამათაგან ნაანდერძევი ტვირთი, მათ უღირს და უნარჩევეს შვილთადმი, არის მეტად მძიმე, აუტანელი, მაგრამ ახალი თაობა მას მაინც კისრულობს დიდის სიხარულით, როგორც ხვედრს ისტორიისაგან განკუთვნებულს, რომელიც ამ სიმძიმეში ატარებს დიდი იმედებისა და სიხარულის ნიშან-წყალს. ჩვენი თაობა სამშობლოს მომავალი ბედნიერებისათვის თავის ხელით იდგამს თავზე იმ ეკლის გვირგვინს, რომელიც გამოსჭედეს წინამავალთ თავიანთი მოღვაწეობის ათეული წლების მანძილზედ.

ჩვენ გავწმენდთ სავალ გზებს ნარ-ეკალთაგან, რომელიც დასთესეს ძველებმა და კიდეც შევიჭრებით სამშობლოში ძლევა-მოსილი ლაშქრით; მგლოვიარე ერს ძაძას შემოვასხვთ და ამ ეკლის გვირგვინს დავიწყების წყვდიადს შევთავაზებთ.

ის, რაც ვერ ქმნეს მამებმა, შვილები დავაგვირგვინებთ, ჩვენ მივაღწევთ ამას, ჩვენი რწმენა ურყევია, რადგან ჩვენი სული სულ სხვა გვარი ალით არის განათებული; ჩვენი გონება სულ სხვა ნათლით არის გაბრწყინებული; ჩვენი მკლავი სულ სხვა მახვილით არის შეიარაღებული; ჩვენი ძარღვიც სულ სხვა გვარადა სცემს; ჩვენში სისხლიც სხვა გვარად ჩუხჩუხებს.

ჩვენი მოქმედება წმიდაა და უანგრო. ჩვენ ყოველ წუთს მზად ვართ ვიღოთ კისრად ჯაჭვი, ზვარაკად განწირულისა. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ დავანთხიოთ უმანკო სისხლი ტურფა ივერიის მადლიან მიწაზე.

ჩვენი სული სიზმრად თუ ცხადად მტრის ბანაკშია შეჭრილი და თავგანწირული ლამობს შეაკვდეს მამულის დამღუპველთ.

—და კიდევ აღსრულდება ჭარადი მისია ქართველი ერის.

—და კიდევ შეიღებება კრწანისის ველი წითელი სისხლით, და მოესწრება ჩვენი თაობა იმ საბედისწერო დღეს, როდესაც ის, ლაშქრად წყობილი, ბრძოლად განმზადებული, თეთრ რაშზედ მჯდომ მამაც რაინდის აჩრდილით იმთავგონებული შეიჭრება საბედისწერო ბრძოლაში.

დიადი დასწყისის ჟამი მოახლოებულია, მალე გაისმის ბრძოლის საყვირი და მოუწოდებს მოძმე ახალგაზრდობას —ყველამ იქ მიაშუროს.

ქართული ეროვნული დროშის, ჩვენი დიდებული წარსულის და მომავალ დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოებრიობის სიმბოლოს ქვეშ უნდა დავივიწყოთ ყოველგვარი ვიწრო სექტანტური ინტერესები, შევეფიცოთ ურთიერთს სამშობლო და მტრის წინააღმდეგ ბრძოლა სარწმუნოებად გავიხადოთ და ის ბრძოლისა და გამარჯვების ემბლემად ვაქციოთ. სამშობლოს განთავისუფლება ჩვენი თაობის ხვედრია, ხსნის ერთად ერთი გზა ეს არის. ამის გარანტია წმიდა ეროვნული გრძნობით ანთებული ქართველი ერია, ხოლო თავდები - თეთრი გიორგია.

ალ. მანველიშვილი.

---

1) ხოლო ახლა, აქ უცხოეთში ბ.დ. ვაჩნაძე აცხადებდა—ჩვენ მენშევიკებს მოვეწიეთო.—რასაკვირველია მოეწიეს, მაგრამ დაშლაში, რადგან ეს უკანასკნელი ეროვნულ-დემოკრატებმა ადრე დაიწყოს.

2) ახლაც ხშირად მოვისმენთ პატივცემულ მხცოვანთაგან—რას სულელობთ, ისწავლეთ, ჯერ ბავშვები ხართ და სხვ.. მაშინ, როდესაც მათ პოლიტიკური მოღვაწეობა იწყეს სემინარიის მეორე კლასის მაგიდითგან—უკრძალავენ დღეს მოღვაწეობას სამშობლოსათვის იმ ახალგაზრდებს, ვინც ნამდვილ ქართულ სკოლებში, ქართულ უნივერსიტეტში აღიზარდენ, მთელი წლებით თოფით ხელში პოლიტიკურ ბრძოლას შეელიენ, და რომელთა ასაკის ხალხი ევროპაში სახელმწიფოს მართავენ. ესეც ნამდვილი მამაშვილური დარიგება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

თეთრი გიორგის დევიზია: «საქართველო უწინარეს ყოვლისა». თეთრი გიორგის უმთავრესი დებულებაა: ეროვნული სახელმწიფო.

აი სულ მოკლე განმარტება ერთისა და მეორისაც:

1. „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲣᲬᲘᲜᲐᲠᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ“

ნიშნავს იმას, რომ ეროვნული ინტერესი უნდა დავაყენოთ პირად, კლასობრივ და პარტიულ ინტერესებზედ მაღლა. სამშობლოს იდეა არის უზენაესი იდეალი, რომელსაც უნდა ექვემდებარებოდნენ, ეწირებოდნენ ყოველგვარი კერძო მისწრაფებანი და ეგოიზმი. საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლა და [მისი მომავალი აღორძინების საქმე საჭიროებს მთელი ქართველი ერის შემოკრებას, შეკვრას ამ უზენაესი იდეალით.

ყოველი ერი პიროვნებათა და სხვა და სხვა სოციალურ კატეგორიათაგან შესდგება. ყოველ პიროვნებას, როგორადაც ყოველ სოციალურ 'კლასს, თავისი განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. მაგრამ ყველა ამ ინტერესთა ბედი ორგანიულად დაკავშირებულია ერის ვითარების პირობებთან. წარმატებაში მყოფი ერის შემადგენელი ელემენტებიც წარმატებას განიცდიან. ნივთიერად მდიდარნი ერის შვილნი და კლასებიც, მართალია სხვა და სხვა პროპორციით, მაგრამ მაინც, შედარებით, მდიდარნი არიან. ღატაკი ერის შემადგენელი ელემენტებიც სიღატაკესა შინა იმყოფებიან. ერის აღმაღლება და დაქვეითება აუცილებლად იწვევს მის წევრთა აღმაღლებას და დაქვეითებას. ასეთია გარდუვალი და მტკიცე სოციალური კანონი. «ოქროს ხანის» ქართველი ზნეობრივადაც და ნივთიერადაც დღევანდელ ქართველზედ გაცილებით მაღლა იდგა. ეს იმიტომ, რომ მაშინდელი საქართველოს ზნეობრივ-ნივთიერი საერთო ეროვნული დონე დღევანდელ საქართველოზედ გაცილებით მაღლა იდგა. აქედგან ნათელია, რომ ყოველი პიროვნების და აგრეთვე ყოველი კლასის ინტერესი მოითხოვს, რომ ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში წინ-წაყენებული ერის საერთო ინტერესი იყოს.

ამნაირად, როცა თეთრი გიორგი ღაღადებს: «საქართველო უწინარეს ყოვლისა», იგი ამ დიდ პრინციპს მხოლოდ გრძნობათა სფეროში კი არ ათავსებს, არამედ და უმთავრესად სულიერ და ნივთიერ ინტერესთა რეალურ წიაღში.

თეთრი გიორგის იდეოლოგია მითაა ძლიერი, რომ ყოველი მისი დებულება, ყოველი მისი პრინციპი მტკიცედ დამყარებულია რეალურ საფუძვლებზედ, ხალხის რეალურ ინტერესებზედ. თეთრი გიორგი თავის იდეოლოგიის თესლს ცალიერ სივრცეში კი არა ჰფანტავს, არამედ ხალხის ინტერესთა ნოყიერ მიწაში სთესავს, ამიტომ წინასწარ ვიცით, რომ თავის დროზედ ამ ნოყიერი ხნულითგან ძლიერი და უხვი ჯეჯილი ამოხეთქავს. ჩვენ მომავალს სრულის იმედით ვუყურებთ. ხოლო ამასთან ისიც ვიცით, რომ ჯეჯილი თავისთავად არ ამოდის, რომ მისი მოსავლიანობა მხოლოდ დარზედ არაა დამოკიდებული, არამედ და მეტადრე შრომასა და ჯაფაზედ. ხალხის და ქვეყნის ბედი მხოლოდ ღვაწლით და ბრძოლით იჭედება. ეს ვიცით და ამიტომ თავგამოდებით ვშრომობთ და ბრძოლისათვისაც ვირაზმებით: ჩვენი საათი მალე დაჰკრავს.

2· ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ.

ეროვნული სახელმწიფო ერის იურიდიული განსახიერებაა; იგი დამყარებულია ეროვნულ სინამდვილეზედ; მას აქვს ნათლად დასახული ეროვნული მიზნები; იგი ჰქმნის და განამტკიცებს ეროვნულ მთლიანობას და დისციპლინას; ეკონომიკის დარგში იგი ეროვნული მიზანშეწონილობით აწესრიგებს შრომას; იგი ჰქმნის ჰარმონიულ თანამშრომლობას ერის შემადგენელ ყველა კატეგორიათა შორის. ეროვნული სახელმწიფოს ზრუნვის მთავარ საგანს შეადგენს ერის ყოველმხრივი წარმატება და მისი შინაგანი თუ გარეშე პოლიტიკა ამ დიდ მიზანს ემსახურება.

თეთრი-გიორგული სახელმწიფო ერის იურიდიული განსახიერებაა, ვინაითგან იგი არაა პარტიული სახელმწიფო, ვით დემოკრატიული სახელმწიფო, და არც კლასობრივია მარქსისტური სახელმწიფოსამებრ. არამედ იგი ეროვნული სახელმწიფოა, რათგან მას განაგებენ ერის რჩეული ელემენტები განურჩევლად მათი წოდებისა, მიმართულებისა და სარწმუნოებისა; რათგან ამ სახელმწიფოს მთავარი ზრუნვის საგანს ერის საერთო ინტერესები შეადგენს და მის საკანონმდებლო ორგანოში, რეალური წარმომადგენლობის წყალობით, ერის ყველა ინტერესია წარმოდგენილი და ამ ორგანოს პირდაპირი კონტროლი თვით ქართველი ხალხია.

თეთრი-გიორგული სახელმწიფო დამყარებულია ეროვნულ სინამდვილეზედ იმით, რომ მისი პოლიტიკური სტრუქტურა შეგუებულია ამ სინამდვილესთან. მრავალი და დიდ-პატარაა ეროვნული სინამდვილე და აქ ნიმუშად მხოლოდ ორი ამ სინამდვილეთაგანი მომყავს:

ა) საქართველოში არსებობენ თემური განსხვავებანი. გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფო ყოველთვის ამ განსხვავებებზედ იყო ხოლმე დამყარებული და მისი პოლიტიკური სისტემა მათზედ აგებული. ასეთია ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული სინამდვილე. აი რასა ბრძანებს ჩვენი სახელოვანი ი. ჯავახიშვილი ამის შესახებ: «ჩვენი სამშობლოს ერთობისა და ძლიერების უმწვერვალეს ხანაში საქართველოს თვითეულ სახელმწიფოში ცალ-ცალკე განაგებდენ ხოლმე საქმეებს და არა ერთად, ე. ი. მართვა-გამგეობა საუწყებო პრინციპზედ კი არ იყო დამყარებული, არამედ სათემო პრინციპზედ. ამგვარად საისტორიო წყაროები გვიჩვენებენ, რომ საქართველოს მეფის სახელწოდება «მეფეთ მეფე, მეფე აფხაზთა, ქართუელთა, კახთა და რანთა» საქართველოს შესწყობილების უტყუარი გამომხატველი იყო და რეალური მნიშვნელობა ჰქონდა». (იხ. ი. ჯავახიშვილი: «საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია» გვ. 16-17). რომელიღაც კრებაზედ ბ. ბ. ა. ასათიანი, გ. კვარჯალაძე და რეზო გაბაშვილი ამტკიცებდენ, რომ საქართველოში დეცენტრალისტური სისტემა არასდროს არ არსებულა და დეცენტრალიზაცია ეროვნული მთლიანობის დამრღვევიაო. ამას ამბობდენ და ვითომდა ეროვნულ მთლიანობას იცავდენ ის პირნი, რომელნიც კლასობრივ ბრძოლას ქადაგობენ, მტრულ პარტიებად ჰყოფენ ქართველ ხალხს, და რომელთ საკუთარი პარტიის მთლიანობაც კი ვერ დაუცავსთ და ნაჭერ-ნაჭერ გაგლიჯ-გამოგლიჯეს საკუთარი პარტიები, ვით მგელთა ხროვამ ბეჩავი ჯორის ლეში. მაგრამ, მე მგონია, ამ ჭკუის კოლოფთა და სიბრძნის და ცოდნის ჭურჭელთა სავსებით გასაბათილებლად ჩვენი სახელოვანი ი. ჯავახიშვილის ზემოდ-მოყვანილი სიტყვები სრულიად საკმარისია.

საქართველოში ცენტრალისტური სისტემა ეროვნულ მთლიანობას დაარღვევს, შინაგან ბრძოლას გამოიწვევს და თანაც ქართულ ინდივიდუალიზმს დააზარალებს. ეს თემური ინდივიდუალიზმი ქართველი ერის დიდ კულტურულ სიმდიდრეს წარმოადგენს. რომელიმე მნიშვნელოვანი ცივილიზაცია არსად და არასდროს ერთფეროვნობითგან არ წარმოშობილა. ინდივიდუალიზმს მოკლებული, ერთფეროვანი ხალხი ბარბაროსობის ფარგლებს ვერ გასცილდება, რის მაგალითი რუსეთია. ვაი იმ ერს, ვინც თემობრივ ინდივიდუალიზმს მოკლებულია, და კიდევ ამაზედ უდიდესი უბედურობა ისაა, როცა საქართველოს მსგავს ერს ერთნაირ კანონთა და ცენტრალისტურ პოლიტიკურ სისტემაში გამოამწყვდევენ ხოლმე. ამიტომ თეთრი-გიორგული სახელმწიფო იქმნება აგებული დეცენტრალიზაციის საფუძველზედ· მის ფარგლებში განქრება უთანხმოება კუთხურ-თემურ ურთიერთობაში და ქართულ ინდივიდუალიზმს მიეცემა ფართო გასაქანი და შემოქმედებას ვრცელი ასპარეზი.

ბ) მეორე ეროვნული სინამდვილე ისაა, რომ ქართველი ხალხის დიდი უმეტესობა გლეხკაცობისაგან შესდგება და ჩვენი ეკონომიკის ხერხემალი მიწად-მოქმედებაა. ამასადამე ეროვნული სახელმწიფო განსაკუთრებით უნდა ზრუნავდეს გლეხკაცობაში მეცნიერების და სწავლა-განათლების შეტანაზედ, მათი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებაზედ, სასოფლო მეურნეობის აყვავებაზედ.

მთელი სისტემა ეროვნული სახელმწიფოსი, ე.ი. იმისი, რაც დღეს თეთრი გიორგის იდეოლოგიას შეადგენს, ხოლო ხვალ კი შეიქმნება რეალურ პოლიტიკურ სოციალურ ფაქტად, მიმართულია ეროვნული მთლიანობის შექმნისა და განმტკიცებისაკენ. ეს იმიტომ, რომ ეროვნული განვითარება, წინსვლა და სიძლიერე გარეშე ეროვნული მთლიანობისა წარმოუდგენელია. როდესაც ირღვევა ეროვნული მთლიანობა, ეცემა ცივილიზაციაც და საზოგადოება გადაგვარების გზაზედ დგება.

ხოლო ეროვნული სახელმწიფოს არსებობა და იმგვარი ცხოვრების დამყარება, როგორიც თეთრი გიორგისა სწამს, თხოულობს მტკიცე ეროვნულ დისციპლინას. ისტორია მოწმობს, რომ არც ერთი მნიშვნელოვანი ცივილიზაცია მტკიცე დისციპლინის გარეშე არ შექმნილა. არც საქართველოს აღორძინება და აღმატებაა შესაძლებელი გარეშე მტკიცე ეროვნული დისციპლინისა. თუ რასა ნიშნავს ეროვნული დისციპლინა, ამ საკითხს შემდეგ განსაკუთრებით განვიხილავთ.

თეთრი-გიორგულ სახელმწიფოში შრომის საკითხი ანარქიით არაა მოცული, როგორადაც ამას ადგილი აქვს დემოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც ძლიერი და მდიდარი სუსტზედ და ღარიბზედ გაბატონებულია. არც კლასობრივ ბატონობის ნიადაგზედაა იგი დამყარებული მარქსისტულ სახელმწიფოსამებრ. თეთრი-გიორგული, ე. ი. ეროვნული სახელმწიფო თვით აწესრიგებს პატრონთა და მუშათა შორის შრომის ნიადაგზედ არსებულ ურთი-ერთობას სამართლიანობისა და ეროვნული მიზანშეწონილობის მიხედვით. ეროვნული სახელმწიფო თვით არაა მწარმოებელი, როგორც მარქსისტული სახელმწიფო, არც ინდიფერენტული შრომის საკითხისადმი, ვით დემოკრატიული სახელმწიფო, არამედ თვით აწესრიგებს შრომას, იგი შრომის ორგანიზატორია. ეროვნული სახელმწიფო კორპორაციათა, საგანგებო კანონმდებლობისა და სახელმწიფო დაწესებულებათა საშუალებით ჰქმნის სოლიდარულ თანამშრომლობას ერის შემადგენელ ყველა სოციალურ კატეგორიათა შორის. ვინაითგან იქ, სადაც არ არსებობს ასეთი თანამშრომლობა, ჩნდება კლასთა ანტაგონიზმი, რასაც მოსდევს პარტიობა. ხოლო ანტაგონიზმი იქცევა ბრძოლად და ეს უკანასკნელი სამოქალაქო ომად. შედეგი ამისა კი ყოველთვის ერთი და იგივეა: ბიზანტინიზმმა დასცა მთელი იმპერია, მარქსიზმმა მთანთქა მთელი ხალხნი და ერნი! ამნაირად, ეროვნულ სახელმწიფოში, შრომის წიაღში შექმნილი ურთი-ერთობა უფლებრივ ნიადაგზედაა დამყარებული.

ასეთია, მოკლედ რომ ვსთქვათ, თეთრი-გიორგული სახელმწიფო. ჩვენ ამ იდეალს ვემსახურებით. ჩვენ ხშირად გვითქვამს და კიდევ ვიმეორებთ: საქართველოს განთავისუფლება საკმარისი არ არის. ჩვენმა ქვეყანამ ერთხელ უკვე მოიპოვა დამოუკიდებლობა, მაგრამ ისევე დაჰკარგა და ადვილად დაჰკარგა იგი! ეს კი უმთავრესად იმიტომ მოხდა, რომ არც ერთ ჩვენს პარტიას ეროვნული იდეოლოგია არ გააჩნდა და, რასაკვირველია, არც ხალხში ჰქონდა ამ მხრივ დამოუკიდებლობას მტკიცე ნიადაგი. ამიტომ დამოუკიდებლობას სავსებით მოუმზადებელნი შეხვდენ ჩვენი პოლიტიკის მესვეურნი და სრულიად ვერ გაერკვნენ მის ვითარებაში, ვერ მიხვდნენ და, რასაკვირველია, ვერც უპასუხეს იმ საკითხებს, რომელთ იმ დიდ ისტორიულ მომენტში ერის ინტერესები აყენებდენ. როგორც ყოველ სამხედრო ბრძოლას წინ სტრატეგიული გეგმა უნდა უძღოდეს, აგრეთვე პოლიტიკურ მოძრაობას, პოლიტიკურ ეროვნულ ბრძოლას წინ უნდა უძღოდეს გარკვეული და მტკიცე იდეოლოგია. ერის დამოუკიდებლობა ცარიელი სიტყვა როდია. იგი გულისხმობს და შეიცავს რთული ფაქტორთა მთელ რიგს: საკონსტიტუციო სისტემას, სოციალურ-ეკონომიურ ორგანიზაციას, ჯარის და თავდაცვის შექმნას, კულტურულ საქმეთა გამგეობას, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონ-მდებლობას,—ერთი სიტყვით სახელმწიფოს ორგანიზაციას მთელი მისი რთული შინაარსით. ყოვლად შეუძლებელია ამ დიდი აღმაშენებლობის განხორციელება, თუ წინასწარ დამუშავებული იდეოლოგია არ არსებობს და ამ იდეოლოგიის გარეშე ცოცხალ ძალათა საკმარისი კადრი არა არის სიმტკიცით და დისციპლინით დარაზმული. ეს ვერ შეიგნეს ეროვნულ-დემოკრატებმა და ვერც შეიგნებენ, რათგან მათი ლიდერები, საუბედუროდ, პოლიტიკურად მოუმზადებელნი და ბუნებით ანარქისტები არიან. აი რატომაა, რომ თ. გიორგიმ ასლავე გაირკვია თავისი იდეოლოგიური გზა და ამ იდეოლოგიის ცხოვრებაში გამტარებელ ძალებს თავითგანვე რაზმავს. ჩვენ ეროვნულ-დემოკრატებისამებრ წვრილმან კომბინაციებს არ გავყვებით, მენშევიკებთან და არარსებულ სოციალისტ-რევოლუციონერებთან «მოლაპარაკებებს» «შეთანხმებებს», «დადგენილებებს» საქმიანობად არა ვთვლით, არამედ ჩხირ-კედელაობად; ტაკი-მასხარავებივით სოციალისტების საერთო ფრონტში არ შევრბივართ და გამოვრბივართ. ჩვენ ნათლადა გვაქვს ჩვენი გზა გარკვეული და ამ გზაზედ მტკიცედ მივდივართ. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს აღორძინება მხოლოდ თეთრი-გიორგული გზითაა შესაძლებელი და ყოველი შეგნებული მამულიშვილი ჩვენი დროშის ქვეშ უნდა დადგეს.

ლეო კერესელიძე.

ᲛᲔᲜᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲡᲐ ᲡᲣᲠᲡᲗ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ ᲐᲚᲐᲒᲛᲝᲜ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲐ ᲚᲘᲒᲐᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲣᲚᲘ ᲨᲗᲐᲑᲔᲠᲝᲜ

ვისაც ეს სასაცილო ამბავი არა სჯერა, ვთხოვთ „ბრძოლის ხმის» მე-20-ე N-ში წაიკითხოს ბ-ნ ანტონ ქ-ნის წერილი: „ერთა ლიგის კრიზისი.“ მე პირადად ბ-ნ ანტონა ქ-ს არ ვიცნობ, მაგრამ დიდი არა მკითხე მოამბე კი უნდა იყოს, ვიღაცა არის.

ამ უბედურმა მენშევიკებმა შეერთებული ძალით, ე.ი. მარქსისტულად, ლოვილში სამ ღორს ვერ მოუარეს; ერთი კუნწულა ბალისათვის ერთმანეთი კინაღამ მაუზერებით ამოხოცეს; ხეირიანად თავის დაბარცხნა არ იციან და მსოფლიოს გარდაქმნას კი აპირებენ!

ერთხელ დიდმა ილიამ დასწერა: „ნოე ჟორდანიას მიერ აშენებულ ქვეყანაში მე წილს ნუ დამიდებთო.“ მართლაც და რასაც ემზადება მენშევიკების მიერ გარდაქმნილი მსოფლიო, დღეს, რუსეთის მაგალითის შემდეგ, ადვილი წარმოსადგენია. ამ 30 წლის წინედ კი, როცა მარქსიზმი მხოლოდ თეორიული იყო და პრაქტიკულ მოქმედებაში არ გადასულიყო, ცოტა ძნელი იყო მისი წინასწარი გათვალისწინება. მაგრამ დალოცვილი ილია წინ გამჭვრეტი კაცი იყო.

„ქაჩალი კარგი ექიმი იყოს, ჯერ საკუთარ თავს მოირჩენდაო,“ ნათქვამია. მსოფლიოს რას ეპოტინებიან, როცა საკუთარი პარტიისათვის ვერ უპატრონებიათ! „ღმერთი რომ კაცს დასჯის, ჯერ ჭკუას წაართმევსო,“ ნათქვამია აგრეთვე, და ზეციერმა უფალმა რომ მენშევიკები ჭკუა-გონების წართმევით დასაჯა, გასაგებია, და დასასჯელნიც არიან ეს ღმერთითგანაც და სამშობლოთგანაც გამდგარნი. მაგრამ საქართველომ ისეთი რა დაუშავა იმ დალოცვილ ღმერთს, რომ მსოფლიოს უსაზიზღრესი მოვლენა—მენშევიზმი მოახვია თავსა?!

ყოველი ქართველი მამულიშვილის სიმპატია იაპონიისაკენ არის. უპირველესად იმიტომ, რომ იაპონია უმაღლესი მაგალითია მთლიანი ნაციონალიზმისა, ეროვნული მთლიანობისა, დისციპლინისა და წესიერებისა. ამ გვარ ქვეყანაში მარქსიზმს არავითარი ნიადაგი არა აქვს. არც არსებობს იაპონიაში მარქსიზმი არც ერთი მისი ფორმით: არც მენშევიზმი და არც კომუნიზმი. ქართველთა სიმპატია იაპონიისაკენაა კიდევ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა გზა გადაუღობა ბოლშევიზმს ე. ი. რუსეთის გავლენას შორეულ აღმოსავლეთში. რუსეთის გავლენის ზრდა კი რომ საქართველოსათვის საშიშია, ეს ყოველმა ჭკუათა-მყოფელმა უწყის. ხოლო დღეს ქართველთათვის იაპონიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იპონია ისედაც ბუნებრივი მტერია რუსეთისა. ის ფაქტი კი, რომ მან რუსეთს მანჯურია ხელითგან წააგლიჯა, მათ შორის ომს შესაძლებლადა ხდის. ხოლო იმ სანატრელ წუთს, როდესაც იაპონელთა პირველი ზარბაზანი იჭექებს ციმბირის საზღვარზედ, დადგება ჩვენი სიხარულის ჟამი, დაიწყება საქართველოს თავისუფლების განთიადი.

მაგრამ ჩვენ მენშევიკებს სძულსთ იაპონია და მისი მთავრობა. სძულსთ იმიტომ, რომ იაპონიაში იაპონელები სოციალიზმს არ გააჭაჭანებენ; იგინი წინააღმდეგნი არიან იმისა, რომ იაპონიამ რუსეთს ომი გამოუცხადოს, რათგან მეორე ინტერნაციონალის პოლიტიკა ასეთია და მენშევიკები ხომ მეორე ინტერნაციონალის წევრები არიან!

მაგრამ იმის მაგიერ, რომ მენშევიკებმა თავმდაბლად დასწერონ და განმარტონ ეს მათი პოლიტიკა, რაღაცა „ტაბიკებს ამტვრევენ,“ როგორც ცხონებული პაპა ჩემი ბრძანებდა ხოლმე, და მეტიჩრულად გაიძახიან: „იაპონია უნდა ავლაგმოთო!“ ღმერთო ძლიერო! დიდება შენს სახელსა! ამისთანა სასაცილო ტიპები რომ არ შეგექმნა, ამ ქვეყნად ცხოვრება მართლაც რომ მოსაწყენი იქმნებოდა! ვკითხულობ ანტონა ქ-ის წერილსა და თვალ წინ ცოცხლად მიდგია რაჟდენ არსენიძე, ანტონა ქორქოლიანი და გრიშა ურატაძე: ცხენებზედა სხედან—იმ სახით ნაკაშიძემ რომ აღწერა,—ფეხები ქუსლებამდე უზანგებში აქვსთ გარჭობილი, შალვარები მაღლა ასჩაჩვიათ და პერანგის ამხანაგი მუხლებამდე ურანსთ; მანჯურიის ველზედ დააჩაქჩაქებენ თავის ჯაგლაგებს და ლაგმით ხელში იაპონიას ალაგმვას უპირებენ!!

რამდენადაც სასაცილოა იაპონიის ალაგმვა, იმდენადვე კომიკურია ერთა ლიგისათვის სულის შთაბერვა მენშევიკების მიერ. თუ რა სულის შთაბერვა შეუძლიათ სოციალისტებს, ეს ყველაზედ უკეთ ქართველობამ იცის. მენშევიკების სულის შთაბერვამა ჰქმნა ის, რომ საქართველო 1921 წელს შემოსეულ მოსკოველ მარქსისტებს სულიერად და ფიზიკურად განიარაღებული დახვდა და სამარცხვინოდ დამარცხდა. იტალია მხოლოდ ექვსი თვე იმყოფებოდა სოციალისტების ხელში და ეს მოკლე დრო საკმარისი გამოდგა მათთვის, რომ იტალიის მთელი `ეროვნული ორგანიზმი მოეშალათ და დავრდომილ ეყოთ. მათ სიბოროტეს და დესპოტიზმს ხომ საზღვარი არა ჰქონდა: ცოცხალი კაცები ადუღებულ წყალში მოხარშეს!—სოციალისტურმა მმართველობამ ინგლისი უკიდურეს კატასტროფამდე მიიყვანა. ორ წელიწადში ისე მოშალეს სოციალისტებმა ინგლისის ეკონომიკაც და საგარეო პოლიტიკაც, რომ მათ მიერ მიყენებული ზარალის აღდგენას კონსერვატორულმა მთავრობამ 5-6 წელიწადი მაინც უნდა მოანდომოს. ყველგან, სადაც კი გაბატონდა სოციალისტური მთავრობა, ისეთი სული შთაბერა სახელმწიფოს, რომ კინაღამ სული გააფრთხობინა.

მაგრამ ჩვენ მენშევიკებს რომ კიდევა სურსთ ვისმე სული შთაბერონ, ეს მართლაც რომ სასაცილოა. „უკუდო ხარი თავისთვის არ იყო და სხვებს ბუზებს უგერებდაო.“ როგორც ზემოდაც მოგახსენეთ, მენშევიკებს საკუთარი პარტიისათვის ვერ მოუვლიათ და ერთა ლიგაზედ კი ზრუნავენ! ვინ არ იცის, რომ საქართველოში დღეს ორი მენშევიკური კომიტეტი არსებობს და ერთმანეთსა მტრობს ეს ორი ცენტრალური კომიტეტი. ამასთან ახალგაზრდობაც გაიოყო და ახალი პარტია დააარსა, რომლის შესახებ სხვა და სხვა მოსაზრებით არა გვინდა რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ ვსთქვათ. ევროპაში სამად არიან გაყოფილნი და ერთმანეთსა სჭამენ და მტრობენ ისეთივე ვერაგობით, როგორც მოწინააღმდეგე პარტიებსა. ამის შესახებ მკითხველს ვურჩევთ წაიკითხოს მენშევიკის ბატონ რაზმაძის საინტერესო წიგნაკი: „ის რაც არ იცის პარტიამ.“ ამ წიგნაკს ჩვენ კიდე დაუბრუნდებით.

დიახ, მრავალი უბედურობა შეგვამთხვიეს მენშევიკებმა და დიდი ზარალი მოგვაყენეს ქართველ ერსა. მაგრამ ერთი მადლობის ღირსი საქმე კი გვიყვეს. ეს ისა, რომ, თუ სხვა ქვეყნებში „ახალი მდიდრები“ გაჩნდენ, მენშევიკურმა მთავრობამ ახალი თავადები შეგვიქმნა ჩვენ წინიპართა და ჩვენი ისტორიის სასახელოდ.

ნეტარ ხსენებულმა აშორდიამ რომ გაიგოს როგორმე საიქიოს, რომ მისი ღვაწლი უკვალოდ არ დარჩა; რომ, თუ ის მარტო-ხელა მუშაობდა უბრალო მომაკვდავ ქართველთა გაარისტოკრატების დიად საქმეზედ, ახლა ამ მიზანს ემსახურება მთელი დაწესებულება, გვამნი დიდი დიპლომატიური და პოლიტიკური ხარისხებით...,დიახ, ესე ყოველი საამაყო ამბავი რომ შეიტყოს ცხონებულმა აშორდიამ. სიხარულით საფლავში გადაბრუნდება! ნათქვამია: «ისა სჯობს მამულისათვის,რომ შვილი სჯობდეს მამასაო» და აშორდიას მიმდევრებმა გაამართლეს ეს ბრძნული ქართული სიტყვა, და თუ მასწავლებელი მხოლოდ უბრალო აზნაურობის ყალბ სიგელებსა ჰყიდდა,მისნი მიმდევარნი თავადობის „მოწმობებს“ არიგებენ. ამითი დაგვირგვინდა მენშევიკების მოღვაწეობა საზღვარ-გარედ. მაგრამ ნათქვამია: „კოკა წყალზედ გატყდებაო.“ აშორდია ერთხელ ციხეში მოხვდა თავის განაბოძებ სიგელებისათვის და ვაი თუ ზოგიერთი დიდ ხარისხოვანიც...მაგრამ ვნახოთ, დავიცადოთ...

სოლომონ მაჭავარიანი.

ქართული ენა უცხოეთში

უძლიერესი იარაღი ერის თავდაცვისა
არის მისი ეროვნული კულტურა.

დიდი ხანია ჩვენს კოლონიაში არის სურვილი და ცდა ქართული სკოლის დაარსებისა, მაგრამ დღემდე ამ მიზანს კოლონიამ ვერ მიახწია; ქართველი ახალგაზრდობა კი რაც დრო გადის უფრო მეტად შორდება თავის მშობლიურ ენას და გადაგვარების გზას ადგება.

რამოდენიმე წლის წინად პარიზში ქართველმა მასწავლებელმა ქალმა ქ-ნ დავრიშაშვილმა, შემდეგ ქ-ნ კედიამ და უკანასკნელად ბ-ნ ხარისჭარიშვილმა მიმართეს ქართულ საზოგადოებას, რომ ისინი მზად არიან უსასყიდლოდ ასწავლონ მათ ბავშვებს ქართული ენა, მაგრამ ამ დიდ მნიშვნელოვან საქმეს ძლივს, გამოეხმაურა სამი თუ ოთხი ოჯახი, რისთვისაც ბ-ი ხარისჭარიშვილი მწარედ უსაყვედურებდა მათ ქართულ პრესაში. პატივცემულმა ბ-ნ ფირცხალავამ ორი წერილიც დაბეჭდა «დამოუკიდებელ საქართველოში», სადაც ამბობდა და მწუხარებას გამოსთქვამდა ქართულ ენის მივიწყების გამო ემიგრაციაში. მაგრამ იგივე რეალობა რჩება, რომ დღეს 300-400 ქართველ-ახალგაზრდათა შორის, რომელთაც ესაჭიროება სერიოზული მეცადინეობა ქართულ ენაში მომავალ საქართველოში ეროვნული მოღვაწეობისათვის, ამ გზას ორი პროცენტიც არ ადგია. გაქრა სამუდამოდ საქართველოში ის „სალონები,“ სადაც აზროვნობდენ, მოქმედობდენ და ლაპარაკობდენ ყველა ენაზედ გარდა ქართულისა. რასაკვირველია, რომ არ მივიღოთ მხედველობაში დღევანდელი ოკუპანტების ხელის უფლების სფეროები, და მათი ლაქიები ქართველებითგან, რომელთა დღეები დათვლილია. ქართველი ერი ადგია ეროვნულ აღორძინების გზას და განკურნულია ყოველივე ანტიეროვნულისაგან; და ვაი იმ ქართველს, ამ სანატრელ დღეს ვინც ქართველ ხალხის სინამდვილის გარეშე დარჩება: მოშორებული მის ენას, ზნეს, ჩვეულებას, იმას, რაც იყო ორი ათასი წლის მანძილზე მისი ეროვნული დიდების და კეთილშობილების ფაქტორები. ის ქართველი იქნება დევნილი როგორც „ღამურა“ გადაგვარებისათვის, რომელიც მიხვდა რომ ანგარიში წაუხდა და მუდამ იმას განიძახოდა:

„კრულ იყოს მისი სახელი,
ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!
თვის ტომის დამწუნებელსა
ჭირი მოუვა კარზედა!
„გადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია!
მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია.
„კრულია მისი ხსენება
ვინც დაჰგმობს დედა ენასა,
თვის ტომს ღალატობს და მითი
თვით ჰფიქრობს მაღლა ფრენასა.“

განა 1921 წელს მომხდარი ჩვენი ეროვნული კატასტროფა არ იყო პირდაპირი შედეგი ქართველ ხალხის ხელმძღვანელთა გადაგვარებისა მარჯვნივ და მარცხნივ, რომლებიც უცხოეთიდან შემოტანილ „კულტურას“ ეთაყვანებოდენ, მას ეყრდნობოდენ და ივიწყებდენ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ უძლიერესი იარაღი ერის თავდაცვისა არის მხოლოდ მისი ეროვნული კულტურა! აი მაგალითი: ვერდენის დაცვა ევალებოდა მხოლოდ წმინდა ფრანგებს. ეროვნულად აღზრდილმა ჯარმა ვერდენი დაიცვა, სამშობლო გადაარჩინა.

ეროვნულ აღზრდას მოშორებულმა ჯარმა თბილისი დასტოვა, სამშობლო ვერ დაიცვა.

უმაღლესი ეროვნული სულის მატარებელი ქაქუცა ჩოლოყაშვილი ორასი შეფიცული კახ-ხევსურით სასტიკად ამარცხებს 6000 რუსის ჯარს 1922 წელს. მან სძლია მტერს მხოლოდ იმ იარაღით, რასაც უწოდებენ პატრიოტიზმს...ამისთვის, ჩვენ უცხოეთში, როგორც პატარა ნაწილს საქართველოისა, გვევალება შევიძინოთ ეს მთავარი იარაღი—ვისწავლოთ ჩვენი ტკბილი დედა-ენა, ერის ისტორია, განვამტკიცოთ ჩვენი ეროვნული სული და მასში დისციპლინა, როგორც ერთად ერთი იარაღი ჩვენი განთავისუფლებისა.

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი ახალგაზრდობა დიდი სიხარულით და დიდი სურვილით მოკიდებს ხელს ქართულ ენას, რომ მოაშოროთ მას ის მიზეზები და დაბრკოლებანი, რაც დღემდის უშლიდა ხელს; აგრეთვე არ დარჩება გულ-გრილად ამ საქმეში ქართველი საზოგადოებაც, რომ სათანადო დახმარება არ გაუწიოს ამ ეროვნულ საქმეს, თუ ის დაინახავს რაიმე პრაქტიკულად გადადგმულ ნაბიჯს. ჩვენი დღევანდელი წერილის მიზანსაც მხოლოდ ის შეადგენს, რომ პრაქტიკულად ნაბიჯები გადავდგათ, რომ ნათელ ვყოთ ყველა ის მიზეზები, რაც დღემდის აფერხებდა ამ საქმეს, და წარუდგინოთ პატივცემულ ქართულ საზოგადოებას ჩვენ მიერ ნაფიქრალი მოქმედების გეგმა, რომლის მიღება ან უარყოფა მასზე კიდია. ჩვენ არ გვაღელვებს ის, რომ ქვემო მოყვანილი ჩვენი გეგმა იქნება უარყოფილი, რადგან უარმყოფელნი იტყვიან, რისთვის, და წარმოგვიდგენენ უკეთ დამუშავებულ სამოქმედო გეგმას. როგორც პირველ შემთხვევაში (მიღებისა) ისე მეორეში (უარყოფისა) საქმე მიზანს ახწევს, რაც ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ გვაინტერესებს. ჩვენ ვიცით აგრეთვე კარგად მათი სახელები, ვისაც შეუძლია ამ საქმეს ჩაუდგას სული და მისცეს ხორცი, [illegible] სურვილიც რომ იყოს მათ მხრივ; ვიცნოთ მათ წარსულს, ვიცით მათი [illegible] და გონებრივი ღირსებები და ის პატივის-ცემა ქართველ საზოგადოების, რომელიც სამართლიანად აქვსთ დამსახურებული. ამისთვის ჩვენ, გადავდივართ რა ყოველივე საზღვარს „ზრდილობისა“ და შეიძლება ვარღვევთ „დღევანდელ ეთიკას“ [illegible], შეთანხმების, [illegible], კრებების. ვასახელებთ მათ სახელ-გვარებს, [illegible] განაცხადა მუშაობაში. [illegible] 1, რასაკვირველია არ მიგვიღია მხედველობაში მათი პოლიტიკური ... ვფიქრობდით მხოლოდ, შეუძლია თუ არა ამა თუ იმ პიროვნებას [illegible] სახით დახმარება გაუწიოს მომავალში ამ საქმეს. არიან აგრეთვე დასახელებული ისეთებიც, რომელთაც მატერიალურად შეუძლიათ დაეხმარონ საბჭოს (სალამოების მოწყობით, პირადი გავლენით, [illegible] და სხვ.). ეს საბჭო იქნება წმიდა პედაგოგიური-საქმისა, მოცილებული ყოველივე პოლიტიკურ ინტრიგებს, რაც არღვევს და [illegible] ჩვენს საზოგადოებას, რის მსხვერპლი უპირველესად არიან სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდობა— ქართველი ბავშვები.

მიზეზები, რომელიც ჩვენ გვინდა ნათელ-ვყოთ, თუ რისთვის დღემდე ქართულმა ენამ ვერ მოიკიდა ფეხი ემიგრაციაში, არის შემდეგი:

1) ქართველობა გაფანტულია პარიზში და მის მიდამოებში, რომლის სივრცე უდრის 40-50 კილომეტრსა. ამისთვის ერთ ადგილს ყველა ქართველ ახალგაზრდობას მანძილის სიდიდის გამო, თავის მოყრა არ შეუძლია. მაგალითად ლოვილში მყოფი ბავშები რომ ვერ გაიგზავნება ორლეანის კარზე, არ არის გასაკვირველი; ამისთვის ქართველ მასწავლებელ ქალმა კეთილი ინება და უკვე 6 თვეა ასწავლის ლოვილში მყოფ ორ ბავშს ქართულ ენას, გეოგრაფიას და ისტორიას...ჩვენ გეგმაში ეს არის ლოვილის ჯგუფი ნომ. 1—ქალბატონ გოგუაძის ხელმძღვანელობით, მეორე ჯგუფი ბატონ ხარისჭარიშვილისა 5-6 ბავშით, ორლეანის კარზედ. ნათელია, რომ მანძილი გვაიძულებს დავაარსოთ ადგილობრივი ჯგუფები, სრული შეთანხმებით მოწაფეთა და ხელმძღვანელთა შორის დროსა და ადგილის შესახებ სწავლისა.

2) სახელმძღვანელო მასალების და წიგნების უქონლობა.

3) ერთი ან ორი პირის დამოუკიდებელი მუშაობა ამ საქმეში არ იყო მასიური. საჭირო არის მობილიზაცია ყველა ქართული ძალებისა, და რაც მეტი რიცხვი იქნება მოსურნე ამ საქმის მონაწილეობისა, უფრო ნაყოფიერი შედეგი მოყვება მას.

4) უორგანიზაციობა აფერხებდა ამ საქმეს. საჭირო არის ორგანიზაციულად ჩამოყალიბება ამ საქმისა და დეტალების დამუშავება.

და უკანასკნელ მიზეზს დაბრკოლებისა ჩვენ ვხედავთ წმინდა ფსიქოლოგიურს. ჩვენ, როგორც აღმოსავლეთის ხალხს, გვესაჭიროება ერთგვარი მამოძრაველი ძალა, რომელიც გვამოქმედებს თავ-დაუზოგავად ამ შემთხვევაში. ეს ძალა იქნება:— ა) პრესაში გამოქვეყნება, ვინ რა გააკეთა. ბ) დაჯილდოება წარჩინებისათვის. გ) პასუხის მგებლობა როგორც მოწაფეთა, აგრეთვე ხელმძღვანელებისა საზოგადოების წინაშე.

გავითვალისწინეთ რა ყველა ზემო-ხსენებული მიზეზები, ჩვენ შევეცადეთ სათანადო მოქმედების გეგმის შედგენას. რომელიც აქ მოგვყავს და რომელიც გაგვიადვილებს მიზნის მიხწევას.

ღრმად გვწამს, რომ ქართველი პატივ-ცემული საზოგადოება და დასახელებული ჩვენ მიერ მოღვაწენი გაიგებენ ჩვენი გულის ტკივილს და არ დასტოვებენ ჩვენს ძახილს “ბავშვებს ნუ გადავაგვარებთ“ ხმათ მღაღადებელისა უდაბნოსა შინა.

მოქმედების გეგმა:

1. პარიზში შესდგება მთავარი ქართული პედაგოგიური საბჭო ყოფილ მოსწავლებლებისაგან და აგრეთვე ზოგიერთი საზოგადო მოღვაწესაგან, რომელიც იქნება ხელმძღვანელი ორგანო.

2. მთავარი პედაგოგიური საბჭო გამოჰყოფს მეთოდიურ კომისიას, რომელიც დაიმუშავებს სათანადო პროგრამებს: ა) ქართული ენისა, ბ) ქართული ისტორიისა, გ) ქართული ლიტერატურისა, დ) ქართული გეოგრაფიისა და ე) ღვთისმეტყველების.

3. პარიზს და მის ახლო მიდამოებს საბჭო ჰყოფს უბნებად-ქართველთა მოსახლეობის მიხედვით, სადაც სდგება უბნის ჯგუფი მასწავლებლის ან ქართულის მცოდნეს ხელმძღვანელობით, სრული შეთანხმებით უკანასკნელთან მოწაფეთა მშობლებისა.

4. უბნის ჯგუფების ხელმძღვანელნი ინიშნებიან საბჭოს მიერ უმთავრესად იმავე უბნის მოსახლეობითგან. (ხელმძღვანელებად შეიძლება იყვნენ საბჭოს წევრებიც).

5. მთავარი პედაგოგიური საბჭო აარსებს ქართულ ბიბლიოთეკას, ნიშნავს მის გამგეს, რომელიც უბნის ხელმძღვანელთ პირადი პასუხის მგებლობის ქვეშ გასცემს სათანადო წიგნებს და მასალებს ბიბლიოთეკითგან.

6. უბნის ჯგუფის ხელმძღვანელნი მოსწავლე ახალგაზრდობას ყოფენ სამ ჯგუფად ასაკის და მომზადების მიხედვით, პირველ უმცროსს ჯგუფს შეადგენენ მოწაფენი 7-12 წლამდე, მეორეს—საშუალოს—12-17 წლამდე, მესამეს—უფროსს—17-21 წლამდე. აქ, ამ ჯგუფებში ხელმძღვანელნი ახორციელებენ მეთოდიურ კომისიის მიერ შედგენილ პროგრამებს.

7. მეცადინობის დრო განსაზღვრული იქნება თვით ჯგუფთა ხელმძღვანელთა მიერ, მოსწავლეთა მდგომარეობასთან შეთანხმებით. (სასურველია არა ორ გაკვეთილზე ნაკლები კვირაში).

8. მეცადინობა სწარმოებს მთელი წლის განმავლობაში რომ მინიმალურად მაინც დაკარგული ათი წელი ემიგრაციაში აღადგინონ.

9. უბნის ჯგუფის დაარსებისთანავე მათი ხელმძღვანელნი ვალდებული არიან დაუყონებლივ აცნობონ საბჭოს, ჯგუფის შემადგენლობა, რის შემდეგ ჯგუფი იღებს ადგილობრივ სახელს და ნომერს ადვილ ურთიერთობისათვის მთავარ პედაგოგიური საბჭოსთან.

10. მთავარი პედაგოგიური საბჭო ნიშნავს გამოცდებს წელიწადში ორჯელ:—ენკენის თვის დამლევს (როდესაც მოწაფენი თავს იყრიან პარიზში) და თებერვლის პირველ რიცხვებში (სამეცადინო წლის დაწყებისა).

11. გამოცდები ხდება საჯაროდ, რის შედეგები გამოქვეყნებული იქნება ქართულ პრესაში; გამოცდებს ექნება საკონკურსო ხასიათი, რისთვისაც მთავარ პედაგოგიური საბჭო შეამზადებს სათანადო საჩუქრებს წარჩინებულთათვის.

12. სამი ჯგუფის დამთავრების და თეზის დაცვის შემდეგ (ქართულ სინამდვილითგან) მოსწავლე მიიღებს სათანადო მოწმობას და გულზედ სატარებელ ნიშანს, რომელიც წარმოადგენს თეთრ ემალზე საქართველოს რუქას, სადაც იქნება აღმართული მცხეთის ტაძარი, როგორც უძველესი ნაშთი ჩვენი კულტურისა,—რუკაზე ფრიალებს სამფეროვანი დროშა, შავზე იქნება აღნიშნული 1801 წ., თეთრზე 1918 26 მაისი, წითელზე 1921 წ.(დღე ჩვენი დამოუკიდებლობის კატასტროფისა).

თეზის დაცვის უფლება ეძლევა ყველა ქართველს, ვინც ამის სურვილს განაცხადებს წერილობით საბჭოს წინაშე.

13. პედაგოგიური საბჭო ამ გეგმის განხორციელებლად ყველა საფრანგეთში მყოფ ქართველებს მოუწოდებს შემოიტანონ ხუთი ფრანკი თვეში, საბჭოს მოლარეს სახელზე.

14. პედაგოგიური საბჭო ზემო აღნიშნულ სავალდებულო გადასახადითგან, კერძო შემოწირულებითგან და სხვა საშუალებით გამონახულ თანხებით იწერს საქართველოთგან საჭირო სახელმძღვანელო წიგნებს და აქაც გამოსცემს ზოგიერთ ისეთს, რის შოვნაც საქართველოში არ შეიძლება.

15. მთავარი პედაგოგიური საბჭო წელიწადში ორჯერ (14 იანვარს წმ. ნინოს დღეს და ოქტომბრის დამლევს—პარიზის სეზონში) მართავს მუსიკალურ, ლიტერატურულ და საცეკვაო საღამოს ახალგაზრდა მოწაფეთათვის.

16. მთავარი პედაგოგიური საბჭო სამ თვეში ერთხელ იყრის თავს მიმდინარე საქმეთა მოსაწესრიგებლად.

შორეულ საფრანგეთის ქალაქებში, სადაც იმყოფებიან ქართველი ოჯახები, როგორც მონპელიე, ოდენკური და სხვა, პირადი ინიციატივით გამოვა რომელიმე ქართველი და დააარსებს ქართულ სამეცადინო წრეს, ან ქალაქის ჯგუფს. დაარსებისათანავე მას ევალება, შეატყობინოს ეს პარიზის პედაგოგიურ საბჭოს, რომ მისგან მიიღოს მეთოდიურ კომისიის მიერ შედგენილი პროგრამები და სხვა სახელმძღვანელო მასალები. აგრეთვე ორჯელ წელიწადში ადგენს წერილობით მოხსენებას პარიზის საბჭოს წინაშე.

18. უცხოეთში: ბელგიაში, გერმანიაში, პოლონეთში, სათათრეთში, მანჯურიის სახელმწიფოში და სხვ. არსდება დამოუკიდებელი პედაგოგიური საბჭოები ადგილობრივი პირობების მიხედვით. ყველა ამათ ევალებათ იქონიონ კავშირი პარიზის პედაგოგიური საბჭოსთან და გამოიწერონ აქ დამუშავებული პროგრამები და სხვა სახელმძღვანელო მასალები.

პოლკ. ფრ. წულუკიძე.

---

1) ჩვენ მიერ დასახელებული პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობას ცალკე გამოვაქვეყნებთ, როცა ყველასგან საბოლოო თანხმობას მივიღებთ.

ქართველები სპარსეთში

საქართველოს წარსულის რამდენიმე საინტერესო
პიროვნება.

მეფე გიორგი XI. ქაიხოსრო ანუ ხოსრო
მეფე.

(გაგრძელება)

მეფე გიორგიმ ისპაჰანში საქმეები თავის სურვილისამებრ გამოაწყო. მან მიიმხრო სახელმწიფო საბჭოს წევრთა უმრავლესობა. სპარსეთის ამ სახელმწიფო საბჭოს შესახებ საუბარი ქვემო თავებში გვექმნება. გაიმაგრა რა ზურგი ისპაჰანში, მეფე გიორგი თავის საბრძანებელის გზას გაუდგა. 5 მაის 1700 წ. დიდის ალლუმით და ბუკ-ნაღარით შებრძანდა გიორგი XI ქალაქ ქირმანში. კირმანის მცხოვრებნი საზეიმო ლოკაზმულობით და [illegible] ხელში თავიანთ ბატონ-გამეს წინ მიეგებენ. ხოლო ქირმანის ციხე-სიმაგრის კოშკებითგან ზარბაზან-ზამბურაკების ჭექა—ქუხილით სამხედრო სალამს აძლევდენ მას.—ლევან ბატონიშვილი ქართველ-სპარსთა ცხენოსანი რაზმით მეფეს ქალაქის ჯარებთან შეეგება. ქართველნი მხედარნი ძვირფას ფარჩა აბრეშუმით იყვნენ შემოსილნი და მათ ცხენთა ლაგამ-უნაგირნი თვალ მარგალიტებით მოჭედილნი. ძმები ურთი-ერთს გადაეხვიენ და სიყვარულით გადაჰკოცნეს, რის დამნახველ ლაშქარს და მცხოვრებთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

ამ დღითგან ქირმანი თავისი პროვინციით სავსებით ქართველთა გამგებლობაში გადავიდა. თვით გიორგი იყო უმაღლესი გამგე ამ ქვეყნისა, ლევან ბატონიშვილი მისი თანაშემწე, ხოლო დანარჩენ დიდ თანამდებობებზედ გიორგი მეფემ ქართველი თავადები დანიშნა.

1700 წელს თიბათვის შუა რიცხვებში ავღან-ბელუჯთა შეერთებული ჯარი შეესია სპარსეთს. და ქაშანის მთელი პროვინცია დაიბყრო. ჰუსეინ შაჰმა მათ წინააღმდეგ გაგზავნა სპარსთა ჯარი ერთი სპარსელი ხანის სარდლობით. მაგრამ მტერმა ეს ჯარი სასტიკად დაამარცხა და თვით სარდალი დაატყვევა. მთელი ოთხი თვის განმავლობაში ავღან-ბელუჯნი ქაშანის მცხოვრებთ არბევდენ და ამ მდიდარ მხარეს აოხრებდენ. ოქტომბრის დასაწყისს მტერმა ქირმანის მიმართულებით წაიწია. ამავე დროს გიორგი მეფემ მიიღო შაჰ ჰუსეინითგან შემდეგი წერილი: „ავღან-ბელუჯთ აოხრეს ჩემი ქვეყანა, შემიმუსრეს ლაშქარი და ეხლა შენი საბრძანებლისკენ მოიწევენ. გამოიჩინე შენი ლომური გმირობა და დასაჯე მტერი“. მეფე გიორგის ჩვეულებად არა ჰქონდა მტერთან ბრძოლას მორიდებოდაო, ამბობს ჩვენი სახელოვანი სეხნია ჩხეიძე, და მყისვე სალაშქროდ გაემზადაო.

მართლაც, მეფე გიორგიმ შაჰის წერილის 1) მიღებისთანავე მზვერავები აფრინა. ამ უკანასკნელთ მეფეს აცნობეს, რომ მტერი და მისი ახალი ძალები სისტანისაკენ მიიწევსო. სისტანი ანუ სიჯესტანი ერთი პატარა მხარეა ყანდაარითგან დასავლეთით და მისი მთავარი ქალაქი დუშაქია, რომელს ჯე-

ლალ-აბასაც უწოდებენ. გიორგიმ ქირმანის ჯარის წინამძღოლად თავისი ძმა ლევან ბატონიშვილი დანიშნა. თვით კი ქართველთა ცხენოსანი რაზმის პირდაპირი ხელმძღვანელობა იკისრა. ხუთი დღის განმავლობაში მეფის ჯარმა 210 კილომეტრი გადალახა და მიადგა ბემ-ს, რომელიც გოგრის უდაბნოს პირას მდებარეობს, ქირმანითგან აღმოსავლეთით. ისტორიული წყაროებითგან არა სჩანს, მოუხდა თუ არა აქ გიორგის ბრძოლა. ეს კი მოთხრობილია დაწვრილებით, რომ გიორგი ბემ-ში ჩამოსვლის მე-20-ე დღეს მტერს შიგ უდაბნოში შეება. აქეთგან ის დასკვნა გამოდის, რომ გიორგის უდაბნომდე მოსვლია მტერთან ბრძოლა, დაუძლევია იგი, დაუხეინებია და მერე გაქცეულ მტერს უდაბნოში წამოსწევია. ასე თუ ისე დიდი ბრძოლა მოხდა გიორგის უდაბნოში, რომელიც სპარსეთსა და ავღანისტანის შუა ძევს. აუწერელი ტანჯვა გადახდა გიორგის ლაშქარს ამ გაუვალ უდაბნოში. უწყლობა, აუტანელი სიცხე, სიმშილი—ყოველივე ეს უნდა დაეძლია ჩვენ სადიდებულ მეფესა და თანაც ებრძოლა მტერთან, რომელიც უდაბნოში ხეტიალს ნაჩვევი იყო. მაგრამ გიორგი დიდი მხნე და გაუდრეკელი კაცი იყო და ჯარსაც მისი სიმტკიცე ამხნევებდა და გულს უმაგრებდა. მატიანე მოგვითხრობს, რომ უდიდესი გასაჭირის და ტანჯვის წუთებშიც კი გიორგის პირზედ ღიმილი და სიმღერა არ შემწყდარაო.

მტერი გიორგის ჯარს წინასწარ გამაგრებულ კლდიან პოზიციებზედ დაუხვდა. ბრძოლის წინ, განთიადისას, ქართველნი ეზიარენ. დაჰკრეს დოლი და ნაღარა და ქართველთა რაზმმა პირველმა მიიტანა იერიში. ბრძოლის დასაწყისშივე მეფეს სისტანის ხანი წარუდგა და მოახსენა: „მეც თქვენ მხარესა ვარ, ნება მიბოძეთ თქვენი ბრძანების ქვეშ ვიბრძოლო„-ო. ამით ქართველ-სპარსთა ჯარს კარგი ძალა შეემატა. სისტანის ხანს მეფემ ბრძანება მისცა იერიში მტრის მარცხენა ფრთაზედ მიეტანა. გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა. ქართველი მატიანე მოგვითხრობს: სისტანის ხანის რაზმი მტერს დიდი სიმამაცით ეკვეთა და დიდი ზარალი მიაყენაო. ქართველები ურთი-ერთს, ეუბნებოდენ, არ შევრცხვეთ, მეფის თვალთა წინაშე ვაჟკაცობაში ვიღაც სისტანელებმა არ გვაჯობონო. მტერი ქართველ-სპარსთა ჯარს მედგრად დაუხვდა და დასაწყისშივე შესამჩნევი ზარალი მიაყენა. საქმე გასჭირდა. სეხნია, რომელიც ამ ბრძოლაში თავისი ჩვეულებრივი მედგრობით მხურვალე მონაწილეობას იღებდა, თავის ცნობილ ქრონიკაში მოგვთხრობს: „რა ნახა მეფემ, რომ ჯარი გადრკაო, ცხენი შეაყენა და ქართველებსს მჭექარი ხმით შესძახა: „ახლა ვნახავ თქვენ სიგმირესა“ო! ლევან ბატონიშვილიც ერთი გუნდითგან მეორეში დაჰქროდა, ჯარს ამხნევებდა და სიმამაცის მაგალითს აძლევდა. გახურებულ ბრძოლაში მართლაც სამაგალითო ამბავი მოხდა. ერთი ახოვანი და ვაჟკაცობით განთქმული ბელუჯი ცხენ-დაცხენ მივარდა სეხნია ჩხეიძეს, ხმალი შემოჰკრა და ხმლის ქარქაში შუაზედ გაუპო. მაგრამ სეხნიამ ხმლის მეორედ მოქნევა არ დააცალა და თავი გააგდებინა. ბელუჯს თან ორი თათარი მხლებელი ახლდა. სეხნიამ ელვის სისწრაფით მიაგდო მათ ცხენი და ორთავენი უნაგირებითგან ძირს ჩამოყარა.

დიდი სიმარჯვე გამოიჩინა აგრეთვე ერთმა ქართველმა თავადმა, სახელად ზურაბმა, რომლის გვარი წყაროებითგან არა სჩანს. ჯერ ბრძოლის დასაწყისშივე ერთმა ცნობილმა ვაჟკაცმა ბელუჯმა იგი ხმალში გამოიწვია. დუელი მთელი ჯარის წინაშე მოხდა და ზურაბმა მოწინააღმდეგე ერთი წუთის განმავლობაში ხმლით გააპო. ბრძოლის გათავებისას ლევან ბატონიშვილმა ოთხ გაქცეულ ავღანელს თხუთმეტი სპარსელი გაადევნა, მაგრამ თუმცა ოთხი ავღანელი ქვეითად იყვნენ და სპარსელნი კი ცხენებზედ, მოუბრუნდნენ მათ და დაირეკეს. ამ დროს მათ ზურაბი შეესწროთ, ისიც სხვა გაქცეულებს გამოეკიდებოდა და უკან ბრუნდებოდა. რა ნახა ეს სურათი, ავღანელებს შეუტია. ეცა და შუბით დასცა ერთი, მეორეც შუაზედ წამოაგო და მესამე შუბით მიწაზედ მიაჭედა, მაგრამ შუბი გაუტყდა. მაშინ მეოთხეს ხმალით მივარდა. მაგრამ იგი მიწაზედ დაწვა და ასე წაწოლილმა ქვემოდან ზურაბს ხმალი შემოჰკრა და უნაგი შუაზედ გაუჭრა. ზურაბმა ზემოდგან ხმალი გადაჰკრა და თავი გაუპო მერე ცხენითგან ჩამოხტა, ოთხთავეს თავები დააჭრა, მოუხმო გაქცეულ 15 სპარსელს, რომელნიც შორი ახლო გაოცებულნი უცქერდენ ზურაბის სიმამაცესა, და უთხრა; «აჰა, წაიღეთ ეს თავები»-ო.—«არა, თავადო, თავები თქვენ გეკუთვნისთ»-ო, მიუგეს სპარსელებმა. მაგრამ ზურაბმა უპასუხა: «მე თქვენთვისა ვქენი ეს საქმე, თავები თქვენთვის მომიცია»-ო.

(გაგრძელება იქნება).

ლეო კერესელიძე.

---

1) ეს წერილი იხ. Brossett H. M. G. t. III. გვ. 19.

ბიბლიოგრაფია

ბ. ალ. მანველიშვილის მოხსენება

ვეფხის-ტყაოსნის გარშემო

10 აპრილს ბ. ალ. მანველიშვილმა წაიკითხა პარიზში მოხსენება: «საქართველოს კულტურულ-ზნეობრივი ვითარება და ვეფხის-ტყაოსანი».

მოხსენება იშვიათი სიამოვნებით მოვისმინე. მისი ლამაზი და ფორმებით ძლიერი ქართული, სმენას ეალერსებოდა, მდიდარი შინაარსი გულს მიხარებდა. ვუსმენდი და ვფიქრობდი: თუ ქართველ ერს ბევრი ამისთანა ახალგაზრდა ეზრდება, მისი კულტურის კერა არ ჩაქრება, მისი დიადი წარსული ღირსეულად იქნება შესწავლილი და ეს საამაყო განძი მომავალ თაობებს გადაეცემა.

განსაკუთრებით ჩვენ, უფროს თაობას, უნდა გვიხაროდეს როდესაც ვხედავთ ასე მომზადებულს და ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდა ქართველს.

შვენიერია ბ. ზურაბ ავალიშვილის წიგნი: «ვეფხის-ტყაოსნის საკითხები». ჩვენს ლიტერატურაში შოთას შესახებ, უბადლოა პირველი სამი ნაწილი ამ წიგნისა. ხოლო სუსტია, თუმც დიდი ნიჭით დაწერილი, მეოთხე. და აი, ამ მეოთხე ნაწილის განხილვა იყო ბ. მანველიშვილის მოხსენების უმთავრესი საგანი. ამ საკითხის გადაწყვეტისათვის ერთად ერთი უდავო წყარო არის თვით პოემა. ამ პოემის განხილვით ბ-ნი მანველიშვილი უპასუხებს ბ. ზურაბს. პოემაში ის ვერ ჰპოულობს ბ. ზურაბის წიგნის მეოთხე ნაწილში წამოყენებულ საკითხის დამოწმებას და ამიტომ უარჰყოფს მას მომხსენებელმა შემდეგი აზრი გამოსთქვა:

1. ქართული კულტურა ვეფხის-ტყაოსნის ხანაში ისეთ მაღალ საფეხურზედ იდგა, რომ უცხო კულტურის მონურ გავლენას ვერ განიცდიდა. (ბ. ზურაბის ნაწერებში არა ერთხელ შეხვდებით ამ აზრის ნიჭიერ დასაბუთებას.) ხოლო არ არსებობს მთლად ორიგინალური, სრულიად განცალკევებული ეროვნული კულტურა და თუ ქართველნი განიცდიდენ რაიმე გავლენას სხვის კულტურისა, თვითაც ახდენდენ უდიდეს გავლენას სხვებზე. ხოლო ნასესხს გადააქართულებდნენ და იქ საკუთარ ეროვნულ სულს შთაბერავდნენ ხოლმე.

2. ის ხანი, რომელსაც აღნიშნავს ბ-ნი ზურაბი, თუ არსებობდა იმ ქვეყანაში, რომელთა კულტურულ გავლენას განიცდიდა საქართველო, არ იყო ჩვენს ქვეყანაში გავრცელებული. და მისი კვალი პოემაშიც არა სჩანსო. დასამტკიცებლად მომხსენებელმა განიხილა აღნიშნულ ეპოქის ისტორიული წყაროები და ვეფხის-ტყაოსნის ყველა ის ადგილები (და ბევრი სხვაც), რომლებზედაც მიუთითებს ბ-ნი ზურაბი.

შალვამ[1] მომხსენებელს უსაყვედურა; 1) ნუ ვაჭარბებთ, თავი დავანებოთ მავნე ამპარტავნობას: ჩვენი კულტურა სხვა ერების დიდ გავლენას განიცდიდა, რადგან მათ კულტურაზედ უფრო სუსტი იყო. თქვენ ხელოვნურად გაიადვილეთ საგანი, გამოაცალკევეთ რა ქართული კულტურა და გაჰკვრეთ რა მისი წონაო. მთლად დამოუკიდებელი კულტურა არ არსებობს. 2) თქვენი მეთოდი არ ვარგა. სწორეა ბ. ზურაბის მეთოდი: შესწავლა იმ ეპოქისა, როდესაც დაიწერა «ვეფხის ტყაოსანი» და ამის მიხედვით ტექსტის გაგება და დაასრულა საყვედურით: «თქვენი მოხსენების შინაარსი მეტად სუსტი იყო»-ო. შალვა ნიჭიერი მწერალია. მას უყვარს ქართული მწერლობა, ქართული კულტურა. სხვა დროს და სხვა შემთხვევაში ის უეჭველად გაამხნევებდა თავისი სიტყვით ახალგაზრდა ნიჭიერ მკვლევარს.

ახალგაზრდა ქართველი ჰკითხულობს ნიჭიერს და შინაარსით მდიდარ მოხსენებას; შეიძლება მის დებულებებს არ დაეთანხმოთ, მისი საბუთები დაარღვიოთ, ხოლო შინაარსი შინაარსად დარჩეს, ნიჭი ნიჭად და არ უარჰყოთ არც ერთი და არც მეორე.

მაშ რად უსაყვედურა შინაარსის სიღარიბე და რად წამოაყენა ისეთი დებულებები, რომელთა დასაბუთება მეტად ძნელია, თუ არა შეუძლებელი? მე ვფიქრობ—შალვას ეწყინა, რომ მოხსენება იყო ბ. ზურაბის საკითხის წინააღმდეგ მიმართული და ეს ვერ მიუტევა მომხსენებელს. ბ-ნი ზურაბის ერთ უდიდეს პატივისმცემელთაგანი მეც ვარ და, რამდენადაც ვიცი, ბ-ნი მანველიშვილიც განუსაზღვრელ პატივსა სცემს როგორც ბ. ზურაბის ნიჭს, ისე მის ცოდნას და მის პიროვნებას. ხოლო ამ პატივის-ცემამ არ უნდა შებოჭოს თავისუფალი აზრი და მომხსენებელიც ასე მოიქცა.

ქართული კულტურა ჯერ საკმარისად შესწავლილი არ არის. ჯავახიშვილმა ჩაუყარა მეცნიერების ამ დარგს დიდი საფუძველი. ბ-ნმა ზურაბმა მას შეუმატა თავისი ორი, ამ უკანასკნელ დროს გამოქვეყნებული წიგნით, ორი უძვირფასესი მარგალიტი. დარწმუნებული ვარ კიდევ ბევრს შეჰქმნის სხვებიც სწავლობენ, სწერენ. მაშ კატეგორიული მტკიცება იმისა, რომ ქართულ კულტურას უეჭველად უნდა განეცადა გავლენა მეზობელთა უფრო ძლიერ კულტურისა, ძველია და ახლად გამოქვეყნებულ მასალების მიხედვით მართალი არ უნდა იყოს.

ბ. მანველიშვილის დებულების სასარგებლოდ კი, თვით «ვეფხის-ტყაოსნის» არსებობა ღაღადებს. მაშინდელ მცირე აზიას, ანუ სპარსეთს და ბიზანტიას, «ვეფხის-ტყაოსნის» ღირსეულებისა არა შეუქმნია რა. თუ ჰომეროსის და დანტეს ნაწარმოებნი საკმარის საბუთად მიგვაჩნია ვთქვათ, რომ ძველი საბერძნეთი და «ღვთაებრივ კომედიის» იტალია კულტურულად მაშინდელ ერებზედ მაღლა იდგნენ, მაშ რა დაგვიშავა შოთას-საქართველომ? თუ მავნეა გადაჭარბება—არა ნაკლებად მავნეა დამცირება და საკუთარი ღირსებულობის არ ცნობა. ჰომეროსს, შოთას, დანტეს იმდენი ორიგინალური შემოქმედების ძალა შესწევდათ, რომ სხვას ბევრს მისცემდნენ და სხვისგან მიღებულს ეროვნულ სულს ჩაჰბერავდნენ.

შალვას მეორე დებულება, რომ პოემის გაგება შეიძლება მხოლოდ იმ ეპოქის შესწავლით, როდესაც იგი დაიწერა—შემცდარია. რასაკვირველია კარგია და დიდად სასარგებლო ეპოქის შესწავლაც. ის აადვილებს პოემის გაგებას. მაგრამ, შეიძლება გაართულოს კიდეც და მკითხველი შეცდომაში შეიყვანოს. ეპოქის გასაცნობად უნდა წაიკითხოთ ეპოქის თანამედროვე მწერლები და მწერლები შემდეგი ეპოქებისა, ანუ ისტორიკოსები. ცნობილია, რომ თანამედროვე მწერლები (და განსაკუთრებით ძველი დროისა) მიკერძოებით სწერდნენ, ხშირად შეგნებულად სტყუოდნენ. ხოლო, რაც უნდა ნიჭიერი და მიუდგომელი ყოფილიყო, სინამდვილის გაგება უძნელდებოდა, რადგან პერსპექტივა არა ჰქონდა. ისტორიკოსებს დაახლოვებით მაინც რომ მიეგნოთ სინამდვილისათვის, შეჰქმნეს საბუთების შედარებით შესწავლა. ხოლო ისტორიას სწერს ადამიანი და ადამიანი ხომ წყაროა შეცდომებისა! მაგალითად, არა შორეული ეპოქა, ეპოქა ნაპოლეონისა, მდიდარი საბუთებით და ძეგლებით, შესწავლილი აქვთ ათი ათასობით მწერლებს და ისტორიკოსებს. თვით ნაპოლეონის შესახებ დაიწერა რვაას ათასზედ (800.000) მეტი წიგნი. მომავალში კიდევ მეტი დაიწერება. დავა ისტორიკოსთა შორის არ დამთავრებულა და ვერც დამთავრდება. ცხადია, ეპოქის სრული შესწავლა შეუძლებელია. მაგრამ ეპოქის ისტორიის შესწავლა მაინც საჭიროა, რადგან მან შეიძლება გაგვიადვილოთ პოემის ძნელად გასაგები ადგილების გაგება. ხოლო ეპოქის შესასწავლად აუცილებელია ხელოვანთა ნაწარმოების საფუძვლიანი შესწავლა და დაფასება. უამისოდ ვერც ერთი მეცნიერი ვერ მიაგნებს ეპოქის სულს, ზნე-ჩვეულებას, კულტურულ განვითარებას. ე. ი.: პოემა პირველი წყაროა არა მარტო პოემის ავტორის თქმულის სწორი გაგებისათვის, არამედ თვით ეპოქის შესასწავლადაც. შეუძლებელია ბურკჰარტს ისე შვენივრად აღეწერა თავის ცნობილ წიგნებში იტალიის აღორძინების ხანა, რომ მას საფუძვლიანად არ შეესწავლა ჯერ დანტე, წინამორბედი ამ აღორძინებისა და შემდეგ მთელი რიცხვი იმ ბუმბერაზთა,, რომელთაც ეთქვათ: პეტრარკა, და ვინჩი, მიქელ ანჯელო, ბოტიჩელი, რაფაელი, ბოკაჩიო და სხვანი.

როდესაც იგივე ბერკჰარტი აღწერს უძველეს ბერძენთა კულტურას და ცხოვრებას, ის მხოლოდ და მხოლოდ ჰომეროსის აღწერებს ემყარება.

ერთი სიტყვით, უმთავრესი წყარო არის, იყო და მუდამ იქმნებიან ხელოვანთა ნაწარმოებნი. პოემის გასაგებად ერთად ერთი უცვლელი და მუდმივი წყარო არის თვით პოემა. პოემის ავტორმა ის სთქვა, რაც პოემაში სწერია და არა სხვა რამე.

თვით ბ. ზურაბის მეთოდიც სწორედ ეს არის, რადგან უკეთესი არ არსებობს. აზრის დასასაბუთებლად ის მიჰმართავს პირველ წყაროს, ანუ «ვეფხის-ტყაოსანს» და იქითგან გამოაქვს თავისი დასკვნები. საკამათოა—მხოლოდ დასკვნები. ბ. ზურაბის დასკვნების დასარღვევად ბ-ნი მანველიშვილი იმავე სწორ მეთოდს მიმართავს: აღჭურვილი კულტურის ისტორიის საკმარისი ცოდნით, ის განიხილავს პოემას, გამოჰყავს დასკვნები და ამ დასკვნების საშუალებით სცდილობს დაარღვიოს ბ-ნი ზურაბის დასკვნები.

შესაძლებელია ბ-ნი ზურაბი არ დასთანხმებოდა მომხსენებელს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ მოესმინა მოხსენება,—დიდად მოეწონებოდა.

გიორგი კერესელიძე.

---

1) შალვა ამირეჯიბს ბოდიშს ვიხდი: ვიხსენიებ არა ბატონ შალვად, მისსა და ჩემს შორის ბავშობითგან შექმნილ ძმურ განწყობილებაში ეს ყალბ ნოტას შეიტანდა.

„ლურჯი მონოკლი“

ძველი ბერძნები ამბობენ, რომ ადამიანი იბადება პოეტად და, მაშასადამე, ვერც აღზრდა და ვერც სწავლა-განათლება ვერ შეჰქმნის პოეტსაო. იმას აქვს განსაკუთრებული სულიერი ორგანიზაცია, განსხვავებული უბრალო მოკვდავისაგან. პოეტს შეიძლება ჰქონდეს ჩვეულებრივი ჭკუა, სუსტი ნებისყოფა და მეხსიერება, მაგრამ მას აქვს ფართო წარმოდგენა, დიდი ოცნების, ფანტაზიის უნარი, მთავარი ორგანო პოეტური შემოქმედებისა, და შინაგანი გრძნობები განსაკუთრებით ესთეტიური. სულიერ განცდათა და შინაგან გრძნობათა ძლიერად განვითარების გამო პოეტი მეტად შთაბეჭდილებიანია; ყველა მაღალი შთაბეჭდილება და აზრი ღრმად შეიჭრებიან მის გონებაში და აუღელვებენ მას სულს. ხშირად ის, რაც უბრალო მომაკვდავისათვის სრულიად შეუმჩნეველია, პოეტისთვის შთაბეჭდილებაა და აღელვებს მას. მისი გონება სულ მოძრაობს, მოქმედებს, მუშაობს, სანამ მიღებულ შთაბეჭდილებას ან მონლიხებულ იდეას გზას არ გაუკვლევს, არ შეასხამს ხორცს, არ ჩაუდგამს სულს. იგი გრძნობს მოთხოვნილებას თქმისას და სურვილს, გაუზიაროს სხვებს მისი ნაფიქრ-ნააზრ. მისი ფანტაზია ჰქმნის სურათებს, სახეებს და ეს მოქმედება აღფრთოვანებული, ზეგარდმო-ძალით აღტყინებული გონებისა და შფოთვაში სულისა, ცხად-საყოფელად შთაბეჭდილებისა და იდეისა, არის პოეტის ნიჭის შემოქმედება.

მიმართულებისათვის პოეტს ვერ დავძრახავთ ის უნებურად მიჰყვება სულის ლტოლვას და ვერც დავაძალებთ სხვაგვარად მოქმედებას. პოეტობა ხელობა არ არის. პოეტი ეძლევა შემოქმედებას, ვერ ემორჩილება საკუთარს ნებას და მით უმეტეს სხვისას. შთაბეჭდილებას თუ იდეას პოეტი საკუთარ განცდებში ზრდის და საკუთარი გრძნობების სამოსლით ჰმოსავს. რამდენადაც მეტი შთაბეჭდილების მიღება შეუძლია, იმდენად დიდია ხორცშესხმული ფორმა ნიჭიერი ხელოვნის ნამოქმედარისა.

ამ მხრივ წინამდებარე წიგნაკი ახალგაზრდა გ. გამყრელიძის ლექსებისა ჩვენი აზრით ყურადღების ღირსია. ბევრი შთაბეჭდილება, ბევრი განცდა, შეკუმშული და შეიწროებული. არა იმიტომ, რომ მას არ შეუძლია ფრთა გააშლევინოს თავის შემოქმედებას,—პირ-იქით ჩვენ ვიტყვით, რომ მისთვის ღმერთს მიუცია ნიჭი,—ამას ცხად-ჰყოფს მისი თავისუფალი ლექსთა წყობა, მსუბუქი რითმა. არამედ ვიწროვდებიან მისი შთაბეჭდილებანი შემოქმედებაში იმიტომ, რომ ეს შთაბეჭდილებანი არ არიან მჭიდროდ დაკავშირებულნი მათი გამომხატველის შინაგანი ცხოვრების მთელ ვითარებასთან. ისინი უცხონი არიან მისთვის, სულ სხვა ნიადაგზედ და სულ სხვა გარემოცულობაში მიღებულნი. შევადაროთ პირველი ნაწილი, სადაც ის სამშობლოზედ (ოქროს ვერძი), დედაზედ, სოფლის სურათზედ (შემოდგომა იმერეთში) მელექსობს დანარჩენ ნაწილებს და ცხადად დავინახავთ დავრწმუნდებით პირველის უპირატესობაში.

პირველი მეტად ბუნებრივია, მეორე ნაძალადევის შთაბეჭდილებას ახდენს. ყოველ შემთხვევაში კი სასიამოვნო მოვლენაა, რომ ჩვენ დუხჭირსა და ათასგვარ დამაბრკოლებელ პირობებთან ბრძოლის დროს კიდევ უჩნდებათ ახალგაზრდებს სურვილი ხელოვნების სამსახურისა და სიყვარულისა.

ხოლო არც საყვედურად და არც დაწუნებით არ უნდა ჩამოგვერთვას, თუ ვუსურვებთ ახალგაზრდა მგოსანს გადაშლოდეს ის განუზომელი სამყარო, რომელსაც ჰქვია საქართველო, მისი ტანჯვით და სიამით, შვენიერებით და უძლურებით, სადაც ის მიიღებს უზარ-მაზარ შთაბეჭდილებებს. ჩვენ ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ამ ფარგლების გადაცილება არ ვარგოდეს, მაგრამ საქართველოს საზღვართა გადალახვა მხოლოდ მაშინ იქნება უდიდესი მიღწევა, როდესაც ჯერ საქართველო ექმნება მას სავსებით განცდილი. განა თვით ვაჟას მარტო საქართველოც კი არ ეყო?..

მეგობარი.

გაზეთი **„თეთრი გიორგი“** ეღირება:

წლიურად . . . . . . 20 ფრანკი.
6 თვით . . . . . . 10 ფრნაკი.
ცალკე ნომერი . . 2 ფრანკი.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: M. Dadiani. 4, square du Trocadéro, Paris (16ᵉ)

Tél. Passy 45-17

Imp. DUPUIS, 63 bis, rue de Billancourt — Boulogne

Le Gérant : Félix KALDENBACH